

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი- 1 (ერთი) სრული სამტატო განაკვეთი

თანამდებობრივი სარგო - 1589 ლარი.

ფუნქციები:

- გრაფიტის საფუძველზე გრაფენის ოქსიდის მიღება და მისი ინტეგრაცია ოქსიდურ კერამიკულ მასალებში; ალუმინის ოქსიდზე დაფუძნებული კომპოზიტური ფხვნილებისა და კერამიკული მასალების ქიმიური მოდიფიკაციისა და მიღების მეთოდების შემუშავება.
- ფხვნილოვანი კომპოზიტური მასალების ერთსაფეხურიანი სინთეზის განხორციელება ორგანულ-არაორგანული პრეკურსორების გამოყენებით და მათი ქიმიური, სტრუქტურული და მექანიკური მახასიათებლების კვლევა.
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფუნქციური დანიშნულების კერამიკული მასალების მიღება, მულტიკომპონენტური ფხვნილების კონსოლიდაციის ოპტიმალური რეჟიმების შერჩევა და მიღებული მასალების ექსპერიმენტული შეფასება.
- ოქსიდური და არაოქსიდური ნაერთების ულტრადისპერსული ფხვნილების სინთეზი და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა თანამედროვე ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. **განცხადების ფორმა**);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

9. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: **xlomidze@sipt.org.ge** 2026 წლის 26 თებერვალს

– კონკურსი გაიმართება 27 თებერვალს

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913